

მოხსენებითი ბარათი
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის წლიური
ანგარიშის შესახებ

I ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებული იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 26 დეკემბრის №33 დადგენილებით (სარეგისტრაციო კოდი:190020020.35.165.016291), 7-ჯერ მოხდა ცვლილებების შეტანა.

მუნიციპალიტეტის 2018 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება ნაშთის გამოკლებით, ვალდებულებების ზრდა) და ნაშთი ცვლილების გეგმა, აგრეთვე გადასახდელების (ხარჯების, არაფინანსური აქტივების ზრდა, ფინანსური აქტივების ზრდა ნაშთის გამოკლებით, ვალდებულებების კლება) გეგმა განისაზღვრა **16588,015** ლარით, ანუ დამტკიცებულთან **10,314,500** ლართან შედარებით **6 273,515** ლარით (61 %) გაიზარდა.

სულ წინა წლის ნაშთიდან საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე განაწილდა **901,288** ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან **603,697** ლარი, სულ **1 504,985** ლარი. ნაშთი წლის დასაწყისისთვის შეადგენდა **1590,063** ლარს. წლის ბოლოს შეადგინა **3265,368** ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან **4422,227** ლარი, მ.შ.: 1) წინა წლის ნაშთიდან განაწილდა **603,697** ლარი, 2) საქართველოს მთავრობის მიერ 2018 წლის 18 იანვარს N136 განკარგულებით 2018 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო **3388,349** ლარი, 3) საქართველოს მთავრობის მიერ 2018 წლის 2 თებერვლის N250 განკარგულებით მ.წ.მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის გამოიყო **130,000** ლარი, 4) საქართველოს მთავრობის მიერ 2018 წლის 3 მაისის N955 განკარგულებით მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოიყო **300,181** ლარი;

საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე **1851,288** ლარი, მ.შ.: 1) წინა წლის ნაშთიდან განაწილდა **901,288** ლარი, 2) არაფინანსური აქტივების კლებიდან ნამეტი შემოსავალი **950,000** ლარი.

ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ასეთია:

დასახელება	2016			2017			2018		
	წლიური გეგმა	წლიური დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო შესრულება	წლიური გეგმა	წლიური დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო შესრულება	წლიური გეგმა	წლიური დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო შესრულება
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
I. შემოსავლები	7335.000	10761.000	11356.000	8518.600	10774.500	10638.100	10214.500	14033.030	14347.986
გადასახადები	2600.000	2600.000	3365.800	3250.000	3250.000	3270.000	3050.000	3050.000	3343.097
სოციალური შენატანები									
გრანტები	3270.500	6682.900	6678.600	4098.600	6354.500	6124.800	5994.500	9813.030	9704.566

სხვა შემოსავლები	1464.50 0	1478.100	1311.600	1170.000	1170.000	1243.300	1170.000	1170.000	1300.323
II. ხარჯები	7048.80 0	7127.200	6958.300	6675.200	7218.400	7148.600	8370.400	8702.277	8610.975
შრომის ანაზღაურება	1695.60 0	1675.800	1669.100	1540.500	1341.800	1339.800	1904.400	1758.331	1754.825
საქონელი და მომსახურება	1578.30 0	1452.100	1326.800	1406.100	1825.900	1784.400	2020.600	1881.588	1843.447
პროცენტი	2.800	2.700	2.800	1.000	1.000	1.000	0.000	48.940	48.940
სუბსიდიები	3326.90 0	3256.300	3240.800	3170.000	3232.000	3227.400	3654.000	3855.460	3844.202
გრანტები	0.000	35.300	35.300	0.000	12.500	12.500	12.500	12.500	12.500
სოციალური უზრუნველყოფა	354.200	536.200	533.300	488.500	645.700	632.100	650.000	649.246	632.822
სხვა ხარჯები	91.100	168.700	150.200	69.100	159.400	151.300	128.900	496.213	474.239
III. საოპერაციო საღი	286.200	3633.800	4397.700	1843.400	3556.100	3489.600	1844.100	5330.753	5737.011
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	272.500	5740.400	4017.000	1828.000	5630.600	4624.000	1844.100	6835.737	4078.672
ზრდა	437.500	5905.400	4544.500	1928.000	5730.600	4694.100	1944.100	7885.737	5154.569
კლება	165.000	165.000	527.500	100.000	100.000	70.000	100.000	1050.000	1075.897
V. მთლიანი საღი	13.700	-2106.600	380.700	15.400	-2074.500	-1134.500	0.000	-1504.984	1658.339
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	0.000	-2134.800	351.000	0.000	-2091.300	-1151.300	0.000	-1504.984	1658.339
ზრდა	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
ვალუტა და დეპოზიტები	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
სესხები	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
აქციები და სხვა კაპიტალი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
კლება	0.000	2134.800	-351.000	0.000	2091.300	1151.300	0.000	1504.984	-1658.339
ვალუტა და დეპოზიტები	0.000	2134.800	-351.000	0.000	2091.300	1151.300	0.000	1504.984	-1675,254
სესხები	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
აქციები და სხვა კაპიტალი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	16,915
VII. ვალდებულებების ცვლილება	-13.700	-28.200	-29.700	-15.400	-16.800	-16.800	0.000	0.000	0.000
ზრდა	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
საგარეო	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
საშინაო	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
კლება	13.700	28.200	29.700	15.400	16.800	16.800	0.000	0.000	0.000
საგარეო	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
საშინაო	13.700	28.200	29.700	15.400	16.800	16.800	0.000	0.000	0.000

VIII. ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
---------------	-------	-------	-------	-------	-------	-------	-------	-------	-------

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები(შემოსავლები, არაფინანსური აქტივები,ფინანსური აქტივები) დამტკიცებულთან 10314.500 ლარი შედარებით გაიზარდა 4768.530 ლარით და შეადგინა 15083.030 ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 154403,799 ლარი, შესრულება დაგეგმილთან შედარებით არის 102%. ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით შემოსულია 14 347.987 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (14 033.030 ლარი) 102% და მთლიანი - შემოსულობების 93% შეადგენს. მათ შორის:

1) გადასახდების სახით შემოსულია 3 343,097 ლარი, გეგმის 3 050,000 ლარის 110 %, აქედან საშემოსავლო გადასახადის წილი შეადგენს 499,709 ლარს (გეგმის 500.000 ლარის 100 %); ხოლო ქონების გადასახადის 2 843,388 ლარს (გეგმის 2 550,000 ლარის 112%); მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 1 029,012 ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე 19,276 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი - 1 453,287 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი - 341 813 ლარი;

2) გრანტების სახით მიღებულია 9 704.566 ლარი, გეგმის 9 813,030 ლარის 99 %, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი - 5784,500 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 210,000 ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია - 3 580.066 ლარი, სპეციალური ტრანსფერის სახით - 130.000 ლარი;

3) სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 1300,323 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 1170,000 ლარის 111%-ია, მათ შორის: 1) შემოსავალი პროცენტებიდან 142,691 ლარი (გეგმის 80,000 ლარის 178 %); 2) რენტა 557,415 ლარი (გეგმის 510,000 ლარის 109%); აქედან: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 507,544 ლარი, (გეგმის 500,000 ლარის 102%); შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გაცემიდან 49,871 ლარი (გეგმის 10,000 ლარი შესრულება 499 %); 3) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 79,089 ლარი (გეგმის 80,000 ლარის 99 %), აქედან: ა) ადმინისტრაციული მოსაკრებლების და გადასახდებები 72,022 ლარი (გეგმის 74,000 ლარის 97 %); ბ) არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 7,067 ლარი, (გეგმის 6,000 ლარის 118 %); 4) ჯარიმები, სანქციები და საურავები 519,784 ლარი (გეგმის 500,000 ლარის 104 %); 5) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 1,344 ლარი;

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2018 წელს მობილიზებული იქნა 1 075.897 ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (1050.000 ლარის) 102%-ია. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 23.827 ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 1052.070 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 7% შეადგენს.

ფინანსური აქტივების კლების სახით ასახულ იქნა 16,915 ლარი, ეს არის შემოსულობა აქციებიდან და სხვა კაპიტალიდან

კოდი	შემოსულობების სახეობა	წლიური დამტკიცებული ბიუჯეტი ათას	2018 წლის წლიური დაზუსტებული	2018 წლის წლიური დაზუსტებული	წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის	წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის	წლიური დამტკიცებული დაზუსტებული	წლიური დამტკიცებული დაზუსტებული	წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის

		ლარში	ი ბიუჯე ტი ათას ლარში	ი ბიუჯე ტის შესრუ ლება ათას ლარში	შესრუ ლების %	შესრუ ლების %	ტებულ ბიუჯე ტებს შორის +/- ათას ლარში	შესრუ ლება +/- ათას ლარში	შესრუ ლება +/- ათას ლარში
1	2	3	4	6	7	8	9	10	11
	შემოსულობე ბი	10314.5	15083.0	15423,9	150.0	102	4768.5	5109,4	340,9
1	შემოსავლები	10214.5	14033.0	14348.0	140.0	102	3818.5	4133.5	315.0
31	არაფინანსური აქტივების კლება	100.0	1050.0	1075.9	1076.0	102	950.0	975.9	25.9
1	შემოსავლები	10214.5	14033.0	14348.0	140.0	102	3818.5	4133.5	315.0
11	გადასახადები	3050.0	3050.0	3343.1	110.0	110	0.0	293.1	293.1
113	ქონების გადასახადი	2550.0	2550.0	2843.4	112.0	112	0.0	293.4	293.4
113 111	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	725.0	725.0	1029.0	142.0	142	0.0	304.0	304.0
113 113	ფიზ. პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	15.0	15.0	19.3	129.0	129	0.0	4.3	4.3
113 114	სასოფლო- სამეურნეო დანიშნულები ს მიწაზე	1560.0	1560.0	1453.3	93.0	93	0.0	-106.7	-106.7
113 115	არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულები ს მიწაზე	250.0	250.0	341.8	137.0	137	0.0	91.8	91.8
111 11	საშემოსავლო გადასახადი	500.0	500.0	499.7	100.0	100	0.0	-0.3	-0.3
13	გრანტები	5994.5	9813.0	9704.6	162.0	99	3818.5	3710.1	-108.4
133	სახ.ბიუჯეტ.გა მოყოფილი ტრანსფერი	5994.5	9813.0	9704.6	162.0	99	3818.5	3710.1	-108.4
133 111 1	გათანაბრებთ ი ტრანსფერი	5784.5	5784.5	5784.5	100.0	100	0.0	0.0	0.0
133 111 2	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებუ ლი უფლებამოსი ლების განსახორციე ლებლად	210.0	210.0	210.0	100.0	100	0.0	0.0	0.0
133 112 1	სპეციალური ტრანსფერი	0.0	130,0	130,0	0.0	100	130,0	130,0	0
133 112 2	კაპიტალური ტრანსფერი	0	3688,5	3580,1	0	97	3688,5	3580,1	-108,4
14	სხვა შემოსავლები	1170.0	1170.0	1300.3	111.0	111	0.0	130.3	130.3
141	შემოსავლები საკუთრებიდა	590.0	590.0	700.1	119.0	119	0.0	110.1	110.1

	6								
141 1	პროცენტები	80.0	80.0	142.7	178.0	178	0.0	62.7	62.7
141 5	რენტა	510.0	510.0	557.4	109.0	109	0.0	47.4	47.4
141 51	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ათვის	500.0	500.0	507.5	102.0	102	0.0	7.5	7.5
141 54	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტ ი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	10.0	10.0	49.9	499.0	499	0.0	39.9	39.9
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	80.0	80.0	79.1	99.0	99	0.0	-0.9	-0.9
142 2	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელი ები	74.0	74.0	72.0	97.0	97	0.0	-2.0	-2.0
142 231 2	მოსაკრებელიმ შენებლობის	32.0	32.0	25.8	81.0	81	0.0	-6.2	-6.2
142 212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	2.0	2.0	5.0	251	251	0	3.0	3.0
142 214	ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებ.ტერ იტორიის დასუფთავები სათვის	40.0	40.0	41.2	103.0	103	0.0	1.2	1.2
142 3	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	6.0	6.0	7,1	118	118	1,1	1,1	1,1
142 32	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	6.0	6.0	7,1	118	118	1,1	1,1	1,1
143	სანქციები(ჯარი მები და საურავები)	500,0	500,0	519,8	104	104	19,8	19,8	19,8
145	შერეული და სხვა არაკლასიფიც ირებული შემოსავლები	0	0	1,3				1,3	1,3
31	არაფინანსური აქტივების კლება	100.0	1050.0	1075.9	1076.0	102	950.0	975.9	25.9
311	ძირითადი აქტივები	30.0	30.0	23.8	79.0	79	0.0	-6.2	-6.2
314	არაწარმოებულ ი აქტივები(მიწა)	70.0	1020.0	1052.1	1503.0	103	950.0	982.1	32.1

საგასავლო ნაწილი საკუთარი სახსრების ჩათვლით შესრულდა 83%-ით (გეგმა 17176.723 ლარი, ფაქტი 14191.150 ლარი); მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შესრულდა 85%-ით (გეგმა 11955.788 ლარი, ფაქტი 10186.822 ლარი); საკუთარი სახსრები შესრულდა 72 %-ით (გეგმა 588.708 ლარი, ფაქტი 425.606 ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი შესრულდა 94%-ით (გეგმა 210.000 ლარი, ფაქტი 202.196 ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერი გეგმა 13.184 ლარი, არ შესრულებულა; სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შესრულდა 95%-ით (გეგმა 4409.043 ლარი, ფაქტი 3376.526 ლარი).

მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ასეთია:

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული ბიუჯეტი ათას ლარში	დაზუსტებული წლიური ბიუჯეტი ათას ლარში	საკასო შესრულება ათას ლარში	დამტკიცებული გეგმის შესრულების %	წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების %
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3016.4	2737.2	2726.6	90	100
702	თავდაცვა	119.0	116.6	116.6	98	100
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება usafTxoeba	0.0	0.0	0.0	0	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	1137.8	3220.3	1820.6	160	57
705	გარემოს დაცვა	816.5	1016.4	986.9	121	97
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1006.0	4378.9	3823.0	380	87
707	ჯანმრთელობის დაცვა	92.9	103.4	103.1	111	100
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1282.0	1732.1	1527.0	119	88
709	განათლება	1951.8	2996.4	2241.5	115	75
710	სოციალური დაცვა	892.1	875.4	845.9	95	97
	სულ	10314.5	17176.7	14191.2	138	83

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელების გეგმიური და ფაქტიური მაჩვენებლებია ასეთია:

(ათასი ლარი)

გადასახდევლების სახეების დასახელება	წლიური დამტკიცებული გეგმა	2018 წლის გეგმა			2018 წლის 12 თვის შესრულება			დამტკიც.გეგმის შესრ.,%	დაზუსტებული ბიუჯეტის შესრ.,%	საბ.სახსრები ფონდ.გარეშე შესრ.,%	სხვა დონის ერთ.ფონდიდან გამოყ.ჭრანსფ.შესრ.,%
		სულ	2018 წლის დაზუსტებული წლიური საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ბიუჯ.ფონდი	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	სულ	2018წლის 12 თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულება	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი				
ხარჯები	8370.400	8702.278	8572.278	130,000	8610.975	8484.811	126.164	103	99	98	97
შრომის ანაზღაურება	1904.400	1758.333	1758.333	0.000	1754.824	1754.824	0.000	92	100	100	0
საქონელი და მომსახურება	2020.600	1881.588	1881.588	0.000	1843.447	1843.447	0.000	91	98	98	0
პროცენტი	0.000	48.940	48.940	0.000	48.940	48.940	0.000	0	100	100	0
სუბსიდიები	3654.000	3855.460	3855.460	0.000	3844.202	3844.202	0.000	105	100	100	0
გრანტები	12.500	12.500	12.500	0.000	12.500	12.500	0.000	100	100	100	0
სოციალური უზრუნველყოფა	650.000	649.246	649.246	0.000	632.822	632.822	0.000	97	97	97	0
სხვა ხარჯები	128.900	496.213	366.213	130,000	474.239	348.075	126.164	368	96	96	97
არაფინანსური აქტივების ზრდა	1944.100	7885.737	3593.510	4292.227	5154.569	1904.207	3250.362	265	65	53	76
ვალდებულებების კლება	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0	0	0	0

II მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

ასიგნებების შესრულება ბიუჯეტის პრიორიტეტების, პროგრამების და ქვეპროგრამების მიხედვით ასეთია:

03 00 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ხარჯები გაიზარდა 5655,381 ლარით: 1)სახელმწიფო ფონდებიდან 3911,071 ლარით: მ.შ.

გასული წლის ნაშთიდან 603,697 ლარი, მთავრობის N136 განკარგულებით 3055,870 ლარი, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან“ N955 განკარგულებით 121,504 ლარი; მთავრობის N250 განკარგულებით 130,000 ლარი, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 1744,310 ლარით: მ.შ. ადგილობრივი ბიუჯეტის გასული წლის ნაშთიდან 742,887 ლარი, დამტკიცებული ბიუჯეტის შიდა ცვლილებებით **426,423 ლარი** და ნამეტი შემოსავლიდან **575,000 ლარი** .

პროგრამული კოდეზი	გადასახდელების სახეების დასახელება	წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმა	წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმა	მ.შ.	მ.შ.	წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულება	მ.შ.	მ.შ.	დამტკიცებული უჯეტის ბაზმის შესრულების %	წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების %	მ.შ.	მ.შ.
				საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე	სახ.ფონდებიდან გამოყ. ტრანსფერი.		საბიუჯეტო სახსრები ფონდების	სახ.ფონდებიდან გამოყ. ტრანსფერი.			საბიუჯეტო სახსრები ფონდების	სახ.ფონდებიდან გამოყ. ტრანსფერი.
0300	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2960.300	8615.681	4704.610	3911.071	6630,477	3324.477	3306.000	224	77	71	85
0301	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1137.800	3220.303	1601.314	1618.989	1820.604	409.072	1411.532	160	57	26	87
0302	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1690.700	3592.540	2414.438	1178.102	3467.697	2348.061	1119.636	205	97	97	95
030201	წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	401.200	1760.023	730.663	1029.359	1754.930	728.303	1026.627	437	100	100	100
030202	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	473.000	816.088	667.345	148.743	725.856	632.846	93.010	153	89	95	63
030203	გარემოს დაცვითი ღონისძიებები	816.500	1016.429	1016.429	0.000	986.912	986.912	0.000	121	97	97	0
0304	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	131.800	1802.839	688.859	1113.981	1342.175	567.344	774.831	1018	74	82	70

03 01 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია-გეგმა 3220,303 ლარი, შესრულება 1820,604 ლარი-57% ,განხორციელდა შემდეგი პროექტები:

ა) სოფ. პატარძელში „ჩიხლანთ უბნის“ გზის მოასფალტების სამუშაოები ღირებულებით 434,205 ლარი, დაფინანსდა 419,031 ლარი, მ.შ. 398,081 ლარი დაფინანსდა საქ.მთავრობის №136 განკარგულებით, ბ) მანავში გადასასვლელი ხიდის მოწყობა - 179,960 ლარი, დაფინანსდა 90,738 ლარით, მ.შ. 86,201 დაფინანსდა საქ.მთავრობის №136 განკარგულებით, სამუშაოები გრძელდება; გ)ქ.საგარეჯოში ცენტრალურ ქუჩებთან დამაკავშირებელი შიდა საუბნო გზების მოასფალტების (მარჯანიშვილის ქუჩა,მამისაშვილის პირველი და მესამე შესახვევის ქუჩები, ჩოლოყაშვილის ქუჩა, თავისუფლების ქუჩა, ლესელიძის ქუჩა) სამუშაოები 416,000 ლარი, დაფინანსებულია 412.559 ლარი, მ.შ. 391,933 ლარი დაფინანსდა საქ.მთავრობის №136 განკარგულებით, დ) ვერხვიანი -ყანდაურის დამაკავშირებელი გზის მოასფალტების სამუშაოებისთვის 349,300 ლარი, დაფინანსებულია 347,958 ლარი, მ.შ. 330.561 ლარი დაფინანსდა საქ.მთავრობის №136 განკარგულებით, ე)საგარეჯოში გურამიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 227,644 ლარი. დაფინანსდა 215.533 ლარი , 204.756 ლარი დაფინანსდა საქ.მთავრობის №136 განკარგულებით, ე) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქ. საგარეჯო, სოფელი ლამბალო, სოფელი ბადიაური, სოფელი პატარა ჩაილური, სოფელი დიდი ჩაილური, სოფელი პატარძელი, სოფელი ნინოშინდა) სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობის სამუშაოები 25, 959 ლარი; დაფინანსდა 25,211 ლარი; ვ) ქ. საგარეჯოში კახეთის, დოდაშვილისა და არაყიშვილის ქუჩების ასფალტობეტონის გზის საფარისა და სანიაღვრე რ/კ ბეტონის კიუვეტების მოწყობის სამუშაოები და ქ. საგარეჯოში მერაბ კოსტავას ქუჩაზე მრვალბინიანი საერთო საცხოვრებლების ეზოებისა და სოფელ პატარძელში გოგლა ლეონიძის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები 929, 578 ლარი. დაფინანსდა 61,653 ლარი, სამუშაოები მიმდინარეობს; ზ) ქ. საგარეჯოში ჯაფარიძის შესახვევის მოასფალტების სამუშაოები 14 849 ლარი, დაფინანსდა 14.478 ლარი; თ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების მოხრეშვა-მოშანდაკება 100 000 ლარი, დაფინანსდა 99,650 ლარი , ი) გაწეული იქნა ხარჯები არქიტექტურული, საინჟინრო და დაგეგმარების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენის, სამუშაო ინსპექტირების და საზედამხედველო მომსახურებაზე 105,017ლარი, კ) ტექნიკის დაქირავება-მომსახურებაზე, საწვავის შესყიდვაზე გახარჯულია 10,472 ლარი, ლ)მარჯანიშვილის ქუჩაზე საკანალიზაციო ჭის ხუფის შესყიდვა 200 ლარი, მ)სოფ. მულაღნოში შიდა ცენტრ. საავტომობილო გზის მიმდ.გრუნტთან განთავსებული დაზიანებული პოლიეთილენის მილის ნაცვლად საავტომობილო გზაზე განივად სანიაღვრე არხების-ცხაურით მოწყობის სამუშაოები 4,998 ლარი, ნ)ქ.საგარეჯოში, თამარ მეფის ქუჩა N56 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები 2,748 ლარი, ო)საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზნით არაყიშვილის ქუჩის მცხოვრები გელა ჭიაბერაშვილის მიწის ნაკვეთის შემოსაღობად მავთულბადის შესყიდვა 384 ლარი, პ)ამავე ქუჩაზე მცხოვრებ ლამარა ჭიაბერაშვილის საკუთრებაში არსებული კედლის დემონტაჟის და ახალი კედლის მშენებლობის სამუშაოები 4,980 ლარი, ჟ)საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების ყანდაურასა და მანავში,ცენრ.საავტომობილი,ასევე საცხოვრებელ სახლებამდე მისასვლელი გზების მოხრეშვა-მოშანდაკების მიზნით, ინერტული მასალის შექმნა 4,995 ლარი.

03 02 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია:

03 02 01წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები გეგმა 1760,23

ლარი, შესრულება 1754,930 ლარი, 100%, განხორციელდა შემდეგი პროექტები:

ა) სოფელ კაკაბეთში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები ღირებულება 1049,957 ლარი, დაფინანსებულია 1047,121 ლარი, მ.შ. 994,767 ლარი საქ.მთავრობის №136 განკარგულებით, ბ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გიორგიწმინდაში და სოფელ წყაროსთავში სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა 89, 395 ლარი, დაფინანსდა 83,427 ლარი, გ)სოფელ ნინოწმინდაში, თულარში და იორმულანლოში ცენტრალური მაგისტრალის შეკეთება. 4,577ლარი, დაფინანსდა 4,412 ლარი, დ) სოფელ კაკაბეთში სკოლის უბანში დაზიანებული მაგისტრალის აღსადგენად პოლიეთილენის მილის შესყიდვა 3,993 ლარი, დაფინანსდა 3,982 ლარი, ე)საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძელში, ე.წ „შიოს“ უბნის , სოფელ ნინოწმინდაში ბადის მიმდებარედ, სოფელ ლამბალოსა და სოფელ დუზაგრამაში არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილებში დამონტაჟებული, დაზიანებული სამელი წყლის ჭაბურღილისთვის ამქაჩი ტუმბოების და მათი კომპლექტის (ახლით) შექმნა-მონტაჟის სამუშაოები 32,458 ლარი, დაფინანსებული სრულად, ვ) პატარძელში სკოლის და გიგლანთ უბანში დაზიანებული ტუმბოების შექმნა-მონტაჟი 11, 963 ლარი, დაფინანსებულია სრულად; ზ) ქ.საგარეჯო, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ სასმელი წყლის ჭაბურღილში დამონტაჟებული წყლის ამქაჩი ტუმბოს შექმნა-მონტაჟი 6,180 ლარი, დაფინანსებულია სრულად; თ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დუზაგრამა-ლამბალო-თულარის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის და სოფელ იორმულანლოში რ/ბეტონების სადგამების მოწყობის სამუშაოები 7,261 ლარი, დაფინანსებულია 6,962 ლარი, ი) ქ. საგარეჯო, ე.წ. „სადგურის დასახლებაში სასმელი წყლის ჭაბურღილისა და ლითონის რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები 64, 828 ლარი,დაფინანსებულია 60,414 ლარი; კ). სოფ. კაკაბეთში, ე.წ. "ავაზნის" მიმდებარედ სატუმბ სადგურში დაზიანებული ტუმბოს შექმნა-მონტაჟი 6,450 ლარი, დაფინანსებულია სრულად; ლ). ქ. საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილი №10–ში მრავალბინიანი საერთო საცხოვრებელისთვის რეზერვუარის შექმნა და მისი მონტაჟის სამუშაოები 10 186 ლარი, დაფინანსებულია 10,182 ლარი, მ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის და მისი სოფლებისთვის სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების და მათი კომპლექტის (ახლით) შექმნა-მონტაჟის სამუშაოები 107, 098 ლარი, დაფინანსებულია 107,020 ლარი, ნ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძელში სასმელი წყლის ლითონის ემალირებული რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები 15,658 ლარი, დაფინანსებულია 13,312 ლარი, ო) არქიტექტურული, საინჟინრო და დაგეგმარების, საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენის, სამუშაო ინსპექტირების და საზედამხედველო მომსახურებაზე 64,790 ლარი, პ)პატარძელის ე.წ."სირაჩხანის უბნის"თვის 16მ3 ტევადობის რეზერვუარის შესყიდვა 4,950 ლარი, ჟ) დუზაგრამაში ივრის ხეობის მიმდ.არსებულ სასმ.წყლის სისტემის სადგურზე დაზიანებ.ძრავის შეკეთების მომსახურება 1,650 ლარი, რ) ელენერგის გამანაწილებელ ქსელზე ჭაბურღილების მიერთების საფასური 2,600 ლარი, ს)წყაროსთავში და აჭარლების უბანში 4 ცალი ჭაბურღილის მოწყობის ხარჯი 31,859 ლარი, ტ) სოფ. მანავში ე.წ. „ღვინის ქარხნის" მიმდ. დაზიანებული სასმელი წყლის პოლიეთილენის ცენტრალური მაგისტრალის აღდგენისათვის 4,000 ლარი, უ) სოფ. უდაბნოში საკანალიზაციო ჭების გაწმენდითი სამუშაოების განსახორციელებლად სპეც.ტექნიკის მომსახურება 1,500 ლარი, ფ) სოფ. შიბლიანის მიმდ. არსებულ სასმელი წყლის ჭაბურღილისთვის ტუმბოს შექმნა-მონტაჟი 860 ლარი, ქ)სოფ. პატარა ჩაილურში სატუმბომდე ელექტრო ხაზის მოწყობის სამუშაოები 12,792 ლარი, ღ)დაზიანებ.წყლის რეზერვუარის შეკეთება 266 ლარი; ყ) ა.ი.პ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის სუბსიდიის ხარჯმა შეადგინა 235,780 ლარი,(გეგმა 235,800 ლარი) მ.შ.:

შრომის ანაზღაურება 191,209 ლარი, მივლინება 273 ლარი, ოფისი 2,134 ლარი, კომუნალური 2,313 ლარი, ტრანსპორტის ხარჯი 9,139 ლარი, სამედიცინო ხარჯი 1,905 ლარი, შენობა ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი 28,807 ლარი;

03 02 02 გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია: გეგმა 516,088 ლარი, შესრულება 725,856 ლარი, 89%, სამუშაოები: ა) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ანთოკში ცენტრალურ საავტომობილო გზაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები 14,859 ლარი, დაფინანსდა **14,142** ლარით; ბ) ქ.საგარეჯო, ჯაფარიძის ქუჩაზე გარე განათების მოწყობა 23 431 ლარი, დაფინანსდა **21,916** ლარი, დ) სოფ. კოჭბაანში გარე განათების მოწყობა 33 630 ლარი, დაფინანსდა **32,787** ლარი, მ.შ. 31,948 ლარი „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან „N955 განკარგულებით; ე) სოფ.გომბორში გარე განათების მოწყობა 105,500 ლარი, დაფინანსდა **64,276** ლარი, მ.შ. 61,062 ლარი, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან „N955 განკარგულებით, ვ) აღმაშენებლის ქუჩის საახალწლო ღონისძიებისთვის გაფორმება, სცენის მონტაჟი-დემონტაჟის ხარჯი **19,248** ლარი; ზ) გარე განათებისათვის დიოდური პროექტორის შესყიდვა **800** ლარი, თ) საგარეჯო-ნინოწმინდის საავტომობილო გზაზე გარე განათების მოწყობა **33,165** ლარი, ი) სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენის მომსახურებაზე **2,431** ლარი, კ) მუნიციპალიტეტის გარეგანათების მომსახურებაზე **133,839** ლარი, ლ) ქუჩების გარეგანათებაზე გახარჯულ ელენრგიაზე **403,252** ლარი.

03 02 03 გარემოს დაცვითი ღონისძიებები: გეგმა 1016,429 ლარი, შესრულება 986,912 ლარი, 97 %,

1) დასუფთავების ღონისძიებებიდან გეგმა 570,531 ლარი, შესრულება 564,460 ლარი, 99 %, დაფინანსდა შემდეგი მომსახურებები: ქ.საგარეჯოს სოფლების: გიორგიწმინდა, ნინოწმინდა, წყაროს თავის, პატარძელის, თოხლიაურის, მანავის ქუჩებიდან საოჯახო ნარჩენების გატანა **338,200** ლარი; ქ.საგარეჯოს სკვერების, პარკების, მოედნების, გამწვანების ზოლების მოვლა-პატრონობა **76,190** ლარი; საგარეჯოს ქუჩების დასუფთავება-დაგვის და წყალსადინარი არხების გაწმენდა **77,156** ლარი; გზების ტექნიკური მარილით დამუშავება **2,000** ლარი; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტექნიკის მოვლა-შენახვის და ექსპლოატაციის ხარჯები-**4,385** ლარი; ქ საგარეჯოში შოთა რუსთაველის და ლეონიძის ქუჩებზე, სოფ. ნინოწმინდაში მინი სტადიონის და სოფ. პატარძელში საჯარო სკოლის ეზოს მიმდებარედ მდგარი 7 ძირი ხის სპეციალური ტექნიკის საშუალებით მოჭრის სამუშაოები **1,500** ლარი; დაქირავებულების მომსახურება **5,325** ლარი; დასუფთავების აქციისთვის ხელთამანების და ნაგვის ტომრების შესყიდვა **382** ლარი, აგრეთვე დაფინანსდა ორი სატვირთო თვითმცლელის შესყიდვა **59,322** ლარად;

2) სანიაღვრე არხების აღდგენა: გეგმა 32,100 ლარი, შესრულება 27,485 ლარი, 86 %, მ.შ.: კიკვიძის ქუჩაზე მდებარე სანიაღვრე არხის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 15,968 ლარი, მოეწყო სანიაღვრე არხები: სოფელ ნინოწმინდაში, წმინდა ნინოს მონასტერთან **7,821** ლარი; არქიტექტურულ-საინჟინრო დაგეგმარების, ექსპერტიზის მომსახურებაზე 2,062 ლარი, აღმაშენებლის ქუჩაზე სანიაღვრე კოლექტორისა და ჭის რეაბილიტაცია 1,634 ლარი ;

3) ხეების კალპოტების გამაგრება- გაწმენდა: დაგეგმილი იყო წიფლისხეზე ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 12,057 ლარი, არ შესრულებულა;

4) დაფინანსდა შ.პ.ს. „საგარეჯო“ 191,674 ლარით (გეგმა 198,400 ლარი, 97%) ; მ.შ.: შრომის ანაზღაურება 80.100 ლარი, ოფისი 1,960 ლარი, ტრანსპორტის ხარჯი 108,405 ლარი, სხვა ხარჯი 1,209 ლარი (აუდიტის მომსახურება 600 ლარი, ბანკის მოსახურება 130 ლარი, ქონების გადასახდი 193 ლარი, ელ.ტენდერის გამოცხადების ხარჯი 250 ლარი, გაზეთის შესყიდვა 36 ლარი);

5) შ.პ.ს. „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“-ის 203,293 ლარით. მ.შ.შრომის ანაზღაურება 134,258 ლარი, ოფისი 5,914 ლარი, ტრანსპორტის 63,012 ლარი, სხვა(ბანკის %) ხარჯი 109 ლარი;

03 04 კეთილმოწყობის ღონისძიებები: გეგმა 1802,839 ლარი,შესრულება 1342,175 ლარი,74 %,

1) კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები: გეგმა 569,873 ლარი,შესრულება 454,861 ლარი,80 %,დაფინანსდა სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებები **384.389** ლარით, მ.შ.საქართველოს მთავრობის მიერ 2018 წლის 2 თებერვლის N250 განკარგულებით გამოყოფილი 130,000 ლარით შეკეთდა 30 კერძო საცხოვრებელი სახლი და ერთი მრავალბინიანი კორპუსის სახურავი მდებარე საგარეჯოში აღმაშენებლის ქ.№32-ში, თანადაფინანსება მოხდა სარეზერვო ფონდიდან 65.000 ლარით; სპეც ტექნიკით მომსახურებაზე **2,800** ლარი; ბაზრის სავაჭრო დახლებისათვის ლითონის ფარდა“ჟალუზის“ მოწყობა **23,873** ლარი; საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენის მომსახურებაზე **10.598** ლარი; პატარმეულში გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმის შეკეთებაზე **5,925** ლარი; შეძენილ იქნა მავთულბადე სოფელ უდაბნოს ამბულატორიის ეზოს შემოსაღობად **336** ლარი, დიდი ჩაილურის სასაფლაოს შემოსაღობად **315** ლარი; მოეწყო სოფელ უდაბნოში მოსაცდელზე ქვის კიბისა და ტერასები **3,350** ლარი,ქ. საგარეჯოში ლეონიძის ქ. N4-ში მდებარე მრავალბინიანი საერთო საცხოვრებლის სახლის აივნის გამაგრებითი სამუშაოები **-22.025** ლარი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტისათვის 120 ცალი დროშის სამაგრის შესყიდვა **1,250** ლარი.

2)სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციიდან გეგმა 1232,966 ლარი,შესრულება 887,314 ლარი, 72 %, განხორციელდა: ა)ქ.საგარეჯოში სტადიონის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების პირველი ეტაპი, პროექტის ღირებულება 636,530 ლარი,აქედან 2017 წელს დაფინანსდა 61,103 ლარი , 2018 წელს პროექტის პირველი ეტაპი დასრულდა და დაფინანსდა **571,824** ლარი, მ.შ. საქართველოს მთავრობის მიერ 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებით 441,896 ლარით, პროექტის მეორე ეტაპისთვის გამოიყო 533,220 ლარი, დაფინანსდა **194,473** ლარით, მ.შ. საქართველოს მთავრობის მიერ 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით 184,750 ლარი, სამუშაოები მიმდინარეობს; ბ)საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენის,სამუშაო ინსპექტირების და საზედამხედველო მომსახურებაზე **41,135** ლარი; გ) ა(ა)იპ საგარეჯოს N105-ე კომპლექსური სასპორტო სკოლის ღია საცურაო აუზის შეკეთების, ღობის მოწყობისა და წყლის ცირკულაციის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები დაფინანსდა **31,082 ლარით**; დ) ა.(ა).ი.პ. „რაგბის კლუბი ვეფხვებისათვის" 2 (ორი) ცალი საშხაპე კონტეინერის კომპლექტის (მონტაჟით), 2 (ორი) ცალი გამოსაცვლელი კონტეინერის კომპლექტისა (მონტაჟით) და 1 (ერთი) ცალი სამსაჯო კონტეინერის კომპლექტის (მონტაჟით) შესყიდვა **48 800 ლარი**.

04 00 განათლების ხარჯები გაიზარდა 1044,557 ლარით: მ.შ. სახელმწიფო ფონდებიდან- „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან სოფელ კოჭბაანში საბავშვო ბაღის მოწყობისთვის გამოიყო 178,677 ლარი; მთავრობის N136 განკარგულებით გამოიყო საგარეჯოს N5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 332,479 ლარი; ადგილობრივი ბიუჯეტის გასული წლის ნაშთიდან 158,401 ლარი და ნამეტი

შემოსავლიდან 375,000 ლარი სკოლამდელი დაწესებულებების კეთილმოწყობის სხვადასხვა ღონისძიებებისათვის.

პროგრამების კოდები	გადასახდელის სახეების დასახელება	წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმა	წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმა	მ.შ.	მ.შ.	წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულება	მ.შ.	მ.შ.	წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმის შესრულება %	წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების %	მ.შ.	მ.შ.
				საბიუჯეტო სახსრების ფონდების	სახ.ფონდებიდან გამოყ. ტრანსფერი.		საბიუჯეტო სახსრების ფონდების	სახ.ფონდებიდან გამოყ. ტრანსფერი.			საბიუჯეტო სახსრების ფონდების	სახ.ფონდებიდან გამოყ. ტრანსფერი.
04 00	განათლება	1951.800	2996.357	2485.201	511.156	2241.482	2170.956	70.526	115	75	87	14
04 01	სკოლამდელი განათლება	1879.600	2922.657	2411.501	511.156	2167.795	2097.269	70.526	115	74	87	14
04 02	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	72.200	73.700	73.700	0.000	73.687	73.687	0.000	102	100	100	0

04 01 სკოლამდელი განათლება გეგმა 2922,657 ლარი, შესრულება 2167,796 ლარი, 74 %,

1) ა.ი.პ. საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების გეგმა 1836,900 ლარი, შესრულება 1835,592 ლარი, მ.შ.: შრომის ანაზღაურება 1247,690 ლარი, ოფისი 45,974 ლარი, კომუნალური 120,028 ლარი, კვება 415,703 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 2850 ლარი (გიორგიწმინდის საბავშვო ბაღისთვის მაცივარი 1,100 ლარი , საგარეჯოს №4 ბაღისთვის ცენტრალური გათბობის ქვაბი 1,750 ლარი).

